

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N015/18<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ლილი ნოდია (სტუდენტი)

### შეკითხვა

ადვოკატი უწევს იურიდიულ მომსახურებას ერთ-ერთ კომპანიას. ადვოკატი აწარმოებდა მოლაპარაკებებს კომპანიის მოწინააღმდეგე მხარესთან კლიენტთან შეთანხმებით. მოცემული მოლაპარაკებები დასრულდა წარმატებით, კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. ადვოკატს სურს თავისი პროფესიონალიზმის ხაზგასასმელად აღნიშნული საქმის წარმატებით დასრულების თაობაზე ინფორმაცია განათავსოს სოციალურ ქსელში. დაარღვევს თუ არა ეთიკურ ვალდებულებას ადვოკატი ამ შემთხვევაში? კლიენტი არ არის თანახმა აღნიშნული საკითხი გახდეს საჯარო.

### ანალიზი

შეკითხვაში აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც ადვოკატს სურს განათავსოს სოციალურ ქსელში - არის კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც არის კონფიდენციალური. ადვოკატის მიზანი - გახდეს საჯარო კლიენტის საქმის თაობაზე კონფიდენციალური ინფორმაცია - არის მისი პროფესიული საქმიანობის წარმატებით დასრულების თაობაზე ხაზგასმა. შესაბამისად, ადვოკატს სურს თავისი პირადი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენოს კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ კლიენტი არ აცხადებს თანხმობას, მისი საქმის თაობაზე ინფორმაცია გავრცელდეს სოციალურ ქსელში.

### დასკვნა

ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას მოეთხოვება პროფესიული პასუხისმგებლობა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად და დააყენოს ისინი მის პირად ინტერესებზე მაღლა.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c7fc543f1f5e.pdf/zepiri%200015.18%20gacmis%20tarigi%2002.10.18.pdf>